

“ტაშ-ფანდურით გამოცხადებული მორიგი “გამარჯვება” ჩვენს ქვეყანას ძალზე ძვირი დაუჯდა”

გაზეთი “ყველა სიახლე” – 25 ივნისი – 1 ივლისი, 2009.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. გთავაზობთ ინტერვიუს მასთან:

– ბატონო ლადო, მაისის თვეში საქართველოს საგარეო ვალი კიდევ 154 მილიონით გაიზარდა და უკვე 4 მილიარდ 783 მილიონ ლარს მიაღწია. ხომ არ არის ეს საშიში ზღვარი?

– საგარეო ვალი საშიშ ზღვარს აღწევს მაშინ, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის 65%-ს გადააჭარბებს, ხოლო თუ ის მთლიანი შიდა პროდუქტის 50%-ზე ნაკლებია, არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნისათვის საფრთხის შემცველად. დღეს ჩვენი საგარეო ვალი დაახლოებით მთლიანი შიდა პროდუქტის 20-25 პროცენტია და ამაში რაიმე სერიოზულ გართულებას ჯერჯერობით ვერ ვხედავ. დღეს საგარეო ვალის ზრდის მთავარი წყაროა ის დახმარება, რომელსაც ქვეყანა ბრიუსელის კონფერენციის შემდეგ იღებს. მკითხველს შევახსენებ, რომ შარშან, ოქტომბერში, ბრიუსელში შედგა კონფერენცია, სადაც საქართველოს, როგორც დაზარალებულ ქვეყანას გამოეყო დახმარება 4 მილიარდ 550 მილიონი დოლარის ოდენობით. ამ თანხიდან 2 მილიარდი არის გრანტი, ხოლო 2 მილიარდ 550 მილიონი – კრედიტი. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, კარგია ეს თუ ცუდი? ჩემი შეფასებით, ამ ეტაპზე ეს დახმარება არის ძალზე მნიშვნელოვანი პოზიციი ქვეყნისათვის. შევეცდები ავსნა რატომ: დღეს საქართველოში ეკონომიკური კრიზის, რომელიც გაძლიერებულია გლობალური ფინანსური კრიზისით და თუ დღეს ღვთის მადლით ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკა არ ჩამონგრეულა და იმედი მაქვს არც ჩამოინგრევა, ამის საფუძველი არის სწორედ ის დახმარება, რომლის მიღებაც საქართველომ დაიწყო 2008 წლის ბოლოდან. ეს პროცესი 2010 წლის ბოლომდე გასტანს, რაც ნიშნავს, რომ ყველაზე მძიმე კერიოდში, როდესაც

მსოფლიოში გლობალური კრიზისია, საქართველოს ექნება სტაბილური საგარეო ფინანსური მხარდაჭერა. ამ კუთხით მე რაიმე საფრთხეს ვერ ვხედავ.

– ჩვენს ხელისუფლებას ბევრი აკრიტიკებს იმის გამო, რომ ბოლო წლებში საგარეო ვალი ძალიან გაიზარდა.

– ჯერ ვისაუბროთ მოვლენაზე, რომელიც კრიტიკას მართლა იმსახურებს: ეს არის ევროპიული გაციების ემისია, რამაც საგარეო ვალი 500 მილიონი დოლარით გაზარდა. გახსოვთ ალბათ 2008 წლის გაზაფხულზე, ლადო გურგენიძემ ტაშ-ფანდურით რომ აცნობა ქვეყანას მორიგი “გამარჯვების” შესახებ. ეს “გამარჯვება” ქვეყანას საკმაოდ ძვირი დაუჯდა. რატომ აიღეს ეს ვალი საერთოდ, ან სად წავიდა ეს ფული, დღემდე ამის პასუხი არ არსებობს. აი, ეს იყო აბსოლუტურად გაუმართლებელი საგარეო ვალი, ხოლო ამ ეტაპზე დონორების მიერ გამოყოფილ დახმარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. მე მოვიყვან ასეთ მაგალითს: გლობალური ფინანსური კრიზისის დროს ძალიან ბევრი ქვეყანა მიმართავს თხოვნით საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს, რომ მათ დახმარება გაუწიონ, მაგრამ არ ეხმარებიან, უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს თუ გამოუყოფენ. რატომ? – იმიტომ, რომ მსოფლიოში კრიზისია და ყველას უჭირს. საქართველოს იმიტომ დაეხმარნენ, რომ ის რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა. 4,55-მილიარდიანი პაკეტი ეს არის ძალიან დიდი მოცულობის თანხა, რომელიც საშუალებას იძლევა ქვეყანა ეკონომიკურად გადარჩეს. როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო, აგვისტოს ომია დაგვანგრია, მაგრამ სერიოზული ფინანსური მხარდაჭერაც მივიღეთ.

– მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ვალი ჩვენმა მომავალმა თაობებმა უნდა იხადონ.

– აბა ვინ უნდა გადაიხადოს? ეს ყოველთვის ასეა: როცა სახელმწიფო იღებს ვალს, ადრე თუ გვიან უნდა გაისტუმროს. მოდით, რეალურად შევაფასოთ სიტუაცია: ჩვენ რომ ეს თანხა არ მიგველო, დღეს ვიქებოდით უმძიმეს მდგომარეობაში. თუ ჩვენს მომავალ თაობას უკეთეს ქვეყანას დავახვედრებთ და ისინი ჩვენზე უკეთ იცხოვებენ, ნამდვილად შეძლებენ ამ თანხის გადახდას. ამ 4,55-მილიარდიან პაკეტში 2 მილიარდი გრანტია, ანუ 2 მილიარდი ნაჩუქარი ფულია, უარი გვეთქვა ამაზე? თუ მთავრობამ რაიმე შეცდომა კიდევ არ დაუშვა და ევროპიული გაციების მსგავსად სხვა, დამატებითი ვალიც არ აიღო, ეს არ არის საგანგაშო თანხა.

ევროობლიგაციებთან დაკავშირებით კი მართლაც არსებობს სერიოზული საფრთხე: ეს ვალი დასაბრუნებელი გვაქვს 5 წელიწადში, ე.ი. 2013 წელს. კონსტიტუციით 2013 წელს არის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები. რომც არ ჩატარდეს არჩევნები, ნახევარი მიღიარდი დოლარის თდენობის საგარეო ვალის გადახდას ბიუჯეტი პრაქტიკულად ვერ შეძლებს. ვინც უნდა იყოს მთავრობაში, მაინც ვერ მოახერხებს ამხელა ვალის გასტუმრებას. ერთადერთ გზად დარჩება ახალი საგარეო ვალის აღება და ჩვენ მოვხვდებით მოჯადოებულ წრეში, ძველი ვალის გასასტუმრებლად დაგვჭირდება ახალი ვალის აღება და მუდმივად ვიქნებით ამ რეჟიმში. ეს მართლაც არ არის სასიამოვნო პერსპექტივა. მთლიანობაში კი საგარეო ვალი არ არის ის პრობლემა, რომელსაც ქვეყანა ვერ მოუვლის, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც გვაქვს.

– ჩვენი საზოგადოება კარგა ხანია საყვედურს გამოთქვამს იმის გამოც, რომ თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთს გადაეცა. რას ნიშნავს ეს? ხომ არ დაკარგა ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკური დამოუკიდებლობა?

– ის, რომ ჩვენი სტრატეგიული ობიექტები ჩვენ აღარ გვეკუთვნის, ნამდვილად არ არის სასიამოვნო ამბავი, თანაც, ხშირად ეს პროცესი საზოგადოებისაგან მაღულად მიმდინარეობს. ამის საბუთად ”ენგურჰესის” მაგალითიც კმარა. ”ენგურჰესის” საკითხი დღემდე ბურუსითაა მოცული. ”ინტერ-რაო ეესი” თავის ვებ-გვერდზეც კი არ აქვეყნებს რაიმე ინფორმაციას და თვით რუსმა ექსპერტებმა და უურნალისტებმაც კი არ იციან ბოლომდე, რა ხდება. ეს ინფორმაცია მათვისაც არ არის ხელმისაწვდომი, ისევე, როგორც ჩვენთვის. რაც შეეხება დამოუკიდებლობას, აბსოლუტური ეკონომიკური დამოუკიდებლობა ბუნებაში არ არსებობს, განსაკუთრებით დღეს, გლობალიზაციის პირობებში. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ არ გაითვალისწინა სხვა სახელმწიფოების ეკონომიკური ინტერესები და ის ტენდენციები, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკაში. დღეს ყველა სახელმწიფო ერთმანეთზეა დამოუკიდებული. საქართველო ბოლომდე დამოუკიდებელი ისევე ვერ იქნება, როგორც ვთქვათ აშშ, ჩინეთი ან რუსეთი არ არიან ბოლომდე დამოუკიდებლები. რაც შეეხება ფარდობით დამოუკიდებლობას, ”ვარდების რევოლუციის” შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხი მართლაც შემცირდა, რადგან აქ ძალიან მომძლავრდა არაკეთილგანწყობილი ქვეყნებიდან შემოსული კაპიტალი.

– ფინანსური დახმარების მიუხედავად, ბოლო ხანებში ჩვენს ქვეყანაში აშკარად შეინიშნება ნიპილიზმი დასავლეთის მიმართ. თქვენი აზრით, რით შეიძლება ავხსნათ ეს მოვლენა?

– სამწუხაროდ, ბოლო წლებში, ჩვენმა ხელისუფლებამ, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს დასავლეთი, პრინციპული შეცდომები დაუშვა რუსებთან, აფხაზებთან, ოსებთან მიმართებაში. ხელისუფლებას უნდა პყოფნოდა საიმისო ცოდნა და პროფესიონალიზმი, რომ ყველაფერი გაეთვალა, რომ რუსეთთან წარმოქმული სამხედრო ოპერაცია დამთავრდებოდა კრახით, რომ რუსეთი გამოიყენებდა ყველა ბერკეტს საქართველოს წინააღმდეგ. ეს გონიერება სამწუხაროდ ჩვენს მთავრობას არ აღმოაჩნდა. ამიტომ ხალხში მარტო ნიპილისტური კი არა, უარყოფითი დამოკიდებულებაც გაჩნდა. მე მინდა შევასეხო გაზეთის მკითხველს 2005 წლის მაისი, როცა აქ ჯორჯ ბუში ჩამოვიდა. ხალხი მას დიდი სიხარულით დახვდა, რადგან აშშ-ს თვლიდა და დღესაც თვლის საქართველოს დამოუკიდებლობის ერთგვარ გარანტად. ეს არ იყო მოჩვენებითი სიხარული, მაგრამ წარმოიდგინეთ, ბუში რომ ჩამოსულიყო 2007, ან 2008 წელს. მას ასე ტკბილად აღარ დახვდებოდნენ. ეს იმედგაცრუება ერთის მხრივ გამოიწვია დასავლეთის შეცდომამ, რომელიც უპირობოდ უჭერდა მხარს სააკაშვილს და მეორე მხრივ, სააკაშვილის მთავრობის შეცდომებმა, რომელიც ყველა ხერხითა და საშუალებით “აპიარებდა” დასავლეთის მხარდაჭერას მისდამი. დასავლეთი რომ უფრო კრიტიკული ყოფილიყო სააკაშვილის მიმართ, სიტუაცია ბევრად უკეთესი იქნებოდა. თუნდაც ბოლო პერიოდში რა განცხადებებიც გააკეთეს საქართველოში აკრედიტებულმა ელჩებმა მეტყველებს, რომ ისინი კვლავ ცალმხრივ პოზიციზე დგანან. მაშინ, როცა ათეულობით ადამიანი უსამართლოდ არის დასჯილი და გალახული, მათ დასაცავად ელჩებს სიტყვაც არ დასცდენიათ. საკმარისი იყო სილა გაეწიათ ხელისუფლების მხარდაჭერი ერთი უურნალისტისთვის, რომ დიდი აუიოტაჟი ატეხილიყო. გამოდის, რომ დიპლომატიური კორპუსი, რომელიც აკრედიტებულია თბილისში, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს და ცალმხრივ პოზიციას იჭერს. ხანდახან კურიოზული სიტუაციაც იქმნება, როცა ელჩები გამოდიან და გვაკრიტიკებენ ისე, რომ არ ახსოვთ რა ხდება მათ ქვეუნებში. გადაბუგული პარიზის ქუჩები ყველამ ვნახეთ სხვადასხვა ტელეარხებით. აბა დამისახელეთ ერთი დახურული მაღაზია, ან ერთი დახურული ბანკი რუსთაველზე. აქციები იმართება, მაგრამ ყველა კომერციული დაწესებულება

მუშაობს. დიდი ბოდიში და ასეთი თავშექავება არც ერთ ეპოდულ ქვეყანაში არ გამოუჩენიათ ადამიანებს. აქ არც შუშები ჩაუმტკრევიათ და არც ობიექტები დაუყაჩადებიათ. ქართველი ხალხი გონიერია, დასავლეთის დახმარებასაც აფასებს, მაგრამ მხოლოდ ფინანსური დახმარება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მისი ნდობა და მხარდაჭერა მოიპოვო!

ხათუნა ჩიგოგიძე